SINCE 1941

სს „თამ“ თბილავიამშენი
JSC "TAM" Tbilisi Aircraft Manufacturing

N 5
06.02.2025

5-0-2-202502061658

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #49ა

თქვენს 2025 წლის 28 იანვრის 6/3859 წერილზე, რომელიც ეხება აეროდრომის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.19.33.015.100), აეროდრომის ფუნქციონირებიდან გამომდინარე შეზღუდვების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას, გაცნობებთ, სს „თამ“ თბილავიამშენი და შპს „თამ-ველი“ წარმოადგენენ თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. #181-ში არსებულ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საფრენ-საგამოცდო აეროდრომს, კერძოდ, #01.19.32.004.002, # 01.19.32.004.011 და# 01.19.32.004.012) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული ინფრასტრუქტურა.

გაცნობებთ, რომ სს „თამ“ თბილავიამშენის საფრენ-საგამოცდო აეროდრომზე, თითოეული საფრენი აპარატის კაპიტალური რემონტის შემდეგ, ხორციელდება მათი საგამოცდო ფრენები. აღსანიშნავია, რომ საწარმოდან გამოსული, ახლად გარემონტებული თვითმფრინავი საგამოცდო ფრენებისას გაცილებით მაღალი რისკის შემცველია, ვიდრე, რეგლამენტირებული საგამოცდო ფრენების შემდეგ ექსპლუატაციაში მიღებული საფრენი აპარატები. აღნიშნული ფაქტორი გათვალისწინებულია აეროდრომის დაარსებისას და საგამოცდო ფრენების უსაფრთხოების მიზნით ასახულია მის პასპორტში, კერძოდ, სსრკ-ის საავიაციო მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1974 წელს დამტკიცებული „**გიორგი დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიის გაშენების შეზღუდვის**“ მოქმედი სქემის შესაბამისად აეროდრომის მიმდებარედ განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ,

ახალი მშენებლობიდან კატეგორიულ წინააღმდეგობას იწვევს ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის, როგორც მაღლივი წინაღობისა და ასევე კვამლის წყაროს, აეროდრომის უშუალო საზღვართან დაგეგმილი მიბმა. გარდა ამისა, ქარხანაში ნაგვის დასაწყობებამ შესაძლოა მოიზიდოს ამ რაიონში ფრინველები, რომლებთანაც თვითმფრინავების შეჯახებამ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფები.

ფრენების უსაფრთხოების დაცვის დიდი მნიშვნელობისა და საავიაციო მრეწველობაში თვითმფრინავების საგამოცდო ფრენების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, საჰაერო მიდგომის ზოლების 1,5 კმ-იან

საქართველო, ქ.თბილისი 0144;
ბერი გაბრიელ სალოსის 191
ტელ/Tel: +032 2 70 00 57; 032 2 70 88 87
Web: https://tam.ge mail: info@tam.ge
Georgia, Tbilisi 0144;
191 Monk Gabriel Salosi Avenue

მონაკვეთში (ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის საზღვრებიდან) ახალი მშენებლობის დაგეგმარება უნდა იყოს გამორიცხული.

რაიონის სამოსახლო ნაკვეთი იწყება ასაფრენ-დასაჯდომი ზოლიდან 1,5 კმ-იანი დაშორებით. რაიონის რელიეფის დაბალი ნიშნები და დაშორება აეროდრომიდან პრაქტიკულად არ ზღუდავს გაშენების სიმაღლეს (ნაგებობების დასაშვები სიმაღლე - 50 მ და მეტი, აეროდრომიდან მათი დაშორების გათვალისწინებით).

აეროდრომთან ახლოს განლაგებულ რაიონებზე თვითმფრინავების ხმაურის ზემოქმედების გათვალისწინებით, სანიტარული მოსაზრებიდან გამომდინარე, არამიზანშეწონილია დაიგეგმოს საბავშვო დაწესებულებების (სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი), სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, სანატორიუმი და ა.შ.) და აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საჰაერო მიდგომის ზოლში და ტერიტორიებზე, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება აეროდრომს.

აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიის გაშენების დაწესებული შეზღუდვები უნდა შენარჩუნდეს აეროდრომის არსებობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში (აეროდრომის პასპორტი და სქემა 7 წიგნად, შედგენილი რუსულ ენაზე, ინახება სს „თამ“ თბილავიამშენში).

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი

მიხეილ ოღლიშვილი